ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

ინტერდისციპლინური მიმართულებით

საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3

ქ. ბათუმი 11 თებერვალი,2019 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები

1. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ქიმიის აკადემიური დოქტორი - რაულ გოცირიძე **(კომისიის თავმჯდომარე);**
2. ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, მათემატიკის აკადემიური დოქტორი - დალი მახარაძე **(მდივანი)**;
3. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიების და ბიომრავალფეროვნებისა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი - მარიამ მეტრეველი;
4. ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი - პაატა ჩაგანავა;
5. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი - გურამ გვარიშვილი.

დღის წესრიგი:

1.ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-08/184 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ში 2019 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში ინტერდისციპლინური მიმართულებით წარმოდგენილი პროექტებიდან:

1.1. **„თაფლის ბოტანიკური წარმომავლობის დადგენის მიზნით, ზოგიერთი თაფლოვანი მცენარეების ყვავილის მტვრიანების და მათგან წარმოებული თაფლის, ყვავილის მტვერის ქიმიური და მიკროსკოპული ანალიზი“** (საბუნებისმეტყველო და აგრარულ მეცნიერებათა მიმართულება)

1.2. **„ტოპოლოგიური ინვარიანტების გამოყენებების შესახებ“** (მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებებისა და მიკრობიოლოგიის მიმართულება)

1.3. **„დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ეფექტიანობის შეფასება და მისაღები პენსიის მომავალი ღირებულების პროგნოზირება“** (ეკონომიკისა და მათემატიკის მიმართულება)

1.4. **„ტურიზმის პრიორიტეტების განსაზღვრა ბუნებრივ-გეოგრაფიული, საფინანსო და სოციალურ - ეკონომიკური ფაქტორების გავლენით აჭარის მეურნეობრივ განვითარებაში“** (ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულება)

გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის, ბატონი **რაულ გოცირიძის** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მსჯელობისა და მიღებული ქულების შეჯამების საფუძველზე:

1. სამეცნიერო-კვლევითმა პროექტმა **„თაფლის ბოტანიკური წარმომავლობის დადგენის მიზნით, ზოგიერთი თაფლოვანი მცენარეების ყვავილის მტვრიანების და მათგან წარმოებული თაფლის, ყვავილის მტვერის ქიმიური და მიკროსკოპული ანალიზი“** მიიღო შეფასება **87** ქულა. (**პროექტის ხელმძღვანელი** ასისტენტ პროფესორი ინდირა ჯაფარიძე. **ძირითადი პერსონალი:** ბსუ-ს ბიოორგანული ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის დოქტორანტი ნონა აბაშიძე; **დამხმარე პერსონალი:** ბსუ-ს ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის მაგისტრანტი თათია გორგოშაძე და მეორე კურსის მაგისტრანტი ანა შონია);
2. სამეცნიერო-კვლევითმა პროექტმა **„ტოპოლოგიური ინვარიანტების გამოყენებების შესახებ“** მიიღო შეფასება **91** ქულა. (**პროექტის ხელმძღვანელი** ასოცირებული პროფესორი ანზორ ბერიძე. **ძირითადი პერსონალი:** პროფესორი ვლადიმერ ბალაძე, ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე, ასოცირებული პროფესორი გრიგოლ კახიანი, ასისტენტ პროფესორი რუსლან ცინარიძე. **დამხმარე პერსონალი:** ბსუ-ს გეომეტრია-ტოპოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი თამარ ხილაძე და ბსუ-ს ბიზნეს ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტი გიორგი ბერია);
3. სამეცნიერო-კვლევითმა პროექტმა **„დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ეფექტიანობის შეფასება და მისაღები პენსიის მომავალი ღირებულების პროგნოზირება“** მიიღო შეფასება 84 ქულა. (**პროექტის ხელმძღვანელი** ასოცირებული პროფესორი ლელა ონიანი. **ძირითადი პერსონალი:** პროფესორი ასიე ციწცაძე და ასოცირებული პროფესორი ნინო სვანიძე; **დამხმარე პერსონალი:** ბსუ-ს „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის“ საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის დოქტორანტი თამარ ღოლობერიძე; **სტუდენტები:** ბსუ-ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი მარიამ ლეჟავა; ბსუ-ს მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი გიორგი ვადაჭკორია).
4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტმა **„ტურიზმის პრიორიტეტების განსაზღვრა ბუნებრივ-გეოგრაფიული, საფინანსო და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენით აჭარის მეურნეობრივ განვითარებაში“** მიიღო შეფასება **81** ქულა. (პროექტის ხელმძღვანელი - პროფესორი მერაბ ფუტკარაძე. **ძირითადი**

პერსონალი ასოცირებული პროფესორი გიორგი აბუსელიძე; **დამხმარე პერსონალი:** ბსუ-ს გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი ლანდა ფუტკარაძე, ბსუ-ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი ლინდა მამულაძე და ბსუ-ს „ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარების" საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტი ნათია ცინარიძე);

კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რაულ გოცირიძემ აღნიშნა, აგრეთვე, რომ მიღებული ქულების საფუძველზე წარმოდგენილი პროექტებიდან მაქსიმალური 91 ქულა მიიღო პროექტმა - **„ტოპოლოგიური ინვარიანტების გამოყენებების შესახებ"**, რომლის ხელმძღვანელია ასოც. პროფესორი ანზორ ბერიძე. ამიტომაც გამარჯვებულად ითვლება აღნიშნული პროექტი.

მან ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გამარჯვებული პროექტის გამოცხადების შესახებ. კომისიის წევრებმა კი ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ წინადადებას.

დაადგინეს:

1. **ინტერდისციპლინური მიმართულებით წარმოდგენილი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან გამარჯვებულად გამოვლინდეს პროექტი „ტოპოლოგიური ინვარიანტების გამოყენებების შესახებ" და აღნიშნული საკითხი გადაეცეს დასამტკიცებლად ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.**

2. **შედეგები დაეგზავნოს შესაბამის სამსახურებს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი: